

# ქვანახშირის თბოელექტროსადგური გარდაბანში და მასთან დაკავშირებული პრობლემები

## ქვანახშირის თბოელექტროსადგური საქართველოში

2015 წლის 16 ოქტომბერს ჩინურმა კომპანიამ Dongfang Electric-მა და საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა ხელი მოაწერა საქართველოში 200 მლნ დოლარის ღირებულების 150 მეგავატი ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობის განზრახვლობათა ოქმს<sup>1</sup>.

იმავე დღეს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობას, შპს „ტყიბული-150“-სა და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის ტყიბულის მუნიციპალიტეტში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ.“ ხელშეკრულების თანახმად, 150 მეგავატის სიმძლავრის ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო არა უგვიანეს 2016 წლის 30 სექტემბრისა და დასრულებულიყო 2020 წლის 1 იანვრამდე.

2016 წლის 30 ივნისს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ნახშირზე მომუშავე სადგური აშენდება არა ქ. ტყიბულში, არამედ გარდაბანში.

## პროექტის ისტორია და განმახორციელებელი

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობის მცდელობები 1998 წლიდან იწყება. პროექტის მთავარ წარმართველ ძალას, ტყიბულ-შაორის საბადოზე მოპოვებული ქვანახშირისთვის საიმედო ბაზრის შექმნა წარმოადგენს. ქ. ტყიბულისთვის მაღარო წარმოადგენს დასაქმების ერთადერთ წყაროს, შესაბამისად, ყოველი ახალი ხელისუფლება ცდილობს განახორციელოს ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის პროექტი, რომელიც მათი თქმით, შექმნის სტაბილურ დასაქმების წყაროს ქალაქის მაცხოვრებელთათვის. 2006 წლიდან ტყიბული-შაორის ქვანახშირის საბადოზე ნახშირის მოპოვების ლიცენზიის მფლობელი 2006 წლიდან გახდა საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი (ჯი აი ჯი ჯგუფის), რომელმაც ჩამოაყალიბა შპს „საქნახშირი“.

აღნიშნული საწარმო წარმოადგენს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ საკუთრებას, რომელსაც თავის მხრივ მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეიშენალი“ ფლობს. ამავე კომპანიის მფლობელობაშია, 1945 წელს გახსნილი შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“, არაერთი მცირე ჰიდროელექტროსადგური, გარდაბნის თბოსადგური და ა.შ. საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ფლობს შპს „ჰაიდელბერგემენტ ჯორჯიას“ 25%-იან წილს, რომელიც ამასთან საქნახშირის ყველაზე დიდი მომხმარებელია.

<sup>1</sup> ამ შეთანხმებას წინ უძღოდა Dongfang Electric-ის და საქართველოს პრემიერ მინისტრის შეხვედრა 2015 წლის სექტემბერში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში სადაც პირველად გაჟღერდა ამ ინიციატივის შესახებ.



მონიტორინგს ვუწევთ  
საერთაშორისო საფინანსო  
ინსტიტუტების საქმიანობას

2009-2015 წლებში მინდელის მადაროში 16 მუშა დაილუბა, დაშავებულთა რიცხვი კი რამდენიმე ათეულს აღემატება. თუმცა, არცერთი ტრაგედია ბოლომდე გამოძიებული არ არის. უმეტეს შემთხვევაში, დამნაშავეებად გარდაცვლილები გამოაცხადეს<sup>2</sup>. საინტერესოა ისიც, რომ ჯერ კიდევ გამოძიების დაწყებამდე, „საქნახშირი“ მომხდარს, როგორც „უბედურ შემთხვევას“ ისე აფასებდნენ. თითქმის ყველა შემთხვევაში, „სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა მიკრო-სამთო დარტყმას, რის შედეგადაც მოხდა, სამთო მასის ანუ ფელანის უეცარი მოშლა. ეს მოხდა საწარმოო პროცესის მსვლელობისას და საქმე გვაქვს უბედურ შემთხვევასთან“<sup>3</sup>. იგივე განმარტება ჰქონდა „საქნახშირის“ 2014 წლის 28 იანვარს მადაროს უფროსის მოადგილის დაღუპვისას<sup>4</sup>.

## ქვანახშირის ელექტროსადგური გარდაბანში

### სამართლებრივი პრობლემები

ხელშეკრულების ცვლილების ძირითადად მიზეზად დასახელებული იყო ის ფაქტი, რომ ტყიბულის პროექტის ფარგლებში მომზადებულ საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევებში გამოითქვა ვარაუდი სამშენებლო ტერიტორიაზე დიდი ზომის მეწყერული ზონის არსებობის შესახებ. დეტალური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ „ექვცქემ არის სამშენებლო ტერიტორიის ვარგისიანობა თბოელექტროსადგურისთვის. ამის გათვალისწინებით, კომპანიამ მოიძია ალტერნატიული ტერიტორია თბოელექტროსადგურის განსათავსებლად გარდაბანში უკვე არსებული თბოელექტროსადგურის ენერგობლოკების ბაზაზე. აღნიშნული ტერიტორიის ვარგისიანობა სამშენებლოდ გამოყენებისთვის ექვცქემ არ დგას, რაც პროექტს ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით მომგებიან ხდის.“<sup>5</sup>

აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ 2016 წლის 6 იანვარს საჯარო შეხვედრისთვის<sup>6</sup> გამოტანილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში საერთოდ არაა გამოთქმული შემფოთება გეოლოგიურ რისკებთან მიმართებაში.

განახლებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „ტყიბული-150“ ვალდებულია, დაიწყოს მშენებლობა 2016 წლის 30 სექტემბრამდე. თუმცა კომპანიას არ მოუზადებია და წარმოდგენია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, შესაბამისად, არ აუღია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

ხელშეკრულებაში გაწერილია მთელი რიგი პრობლემური პუნქტები, რამაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, ხელშეკრულების თანახმად, პროექტი წლიურად 1 მლრდ კვ/საათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რომლის უდიდესი წილი შესყიდული იქნება „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის“ მიერ იმ შემთხვევაში, თუ თბოელექტროსადგური იმუშავებს ადგილობრივ ქვანახშირზე<sup>7</sup> შემდეგი 15 წლის განმავლობაში.

ხელშეკრულებაში გაწერილია თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან შემდეგი 15 კალენდარული წლის განმავლობაში ელექტროენერგიის შესასყიდი ფასიც.

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ფასი აშშ დოლარში	7,9	8,06	8,22	8,38	8,55	8,72	8,9	9,07	9,26	9,44	9,63	9,82	9,82	9,82	9,82

ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების თანახმად, ქვეყანას არ შეუძლია სახელმწიფო დახმარების გაწევა, თუ ის არ არის შეფასებული და დამტკიცებული შესაბამისი ორგანოს მიერ.

<sup>2</sup> <http://goo.gl/YLX0MI>

<sup>3</sup> <http://m.amerikishkma.com/a/georgia-in-tkibuli-the-14th-miner-was-lost/1768915.html>

<sup>4</sup> [http://www.newpress.ge/index.php?page=1&news\\_id=3141](http://www.newpress.ge/index.php?page=1&news_id=3141)

<sup>5</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება N 1241, 30 ივნისი, 2016

<sup>6</sup> <http://www.moe.gov.ge/ka/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/klimatis-cvllleba/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/4118-tyibulis-municipalitetshi-shps-tyibuli>

<sup>7</sup> ესკო არ შეისყიდის ელექტროენერგიას მხოლოდ მაისი-ივლისის ჩათვლით

ხელშეკრულების ტექსტში სახელმწიფო დახმარება პირდაპირი სუბსიდირების ცნებას ცდებდა და მოიცავს გრანტებს, კრედიტებს, საგადასახადო შეღავათებს და სხვ. ამასთან, პროექტის ხელშეკრულებით ეს მუხლები არ ეთანადება გამონაკლისებს, რომლებიც დაშვებულია სახელმწიფო დახმარებისთვის - მუხლი 107.2 და მუხლი 107.3<sup>8</sup>.

სახელმწიფო დახმარება შესაძლებელია თუ მას ექნება სოციალური სარგებელი პირდაპირი მომხმარებელთათვის, როგორცაა: განავითაროს დაბალი ცხოვრების დონით გამორჩეული რეგიონი და ხელი შეუწყოს მის ამაღლებაში; ექნება ხელშეწყობა გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობებზე; გათვლილი იქნება ისეთ რეგიონებზე, სადაც ასეთ დახმარებას არ შეუძლია უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს და შეზღუდოს კონკურენცია.

რიგი ანალიტიკოსების განცხადებით, პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ის ჩაანაცვლებს გაზის თბოელექტროსადგურების მიერ წარმოებულ ელექტროენერგიას გაცილებით იაფი დენით. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხელშეკრულების თანახმად, სისტემის ოპერატორი ვალდებულია 2035 წლამდე შეიძინოს ელექტროენერგია წინასწარ გაწერილი ფასით, სულაც არ ქმნის იაფი დენის გაჩენის პერსპექტივას.

## გარდაბნის გარემოსდაცვითი პრობლემები

გარდაბანი ქვემო ქართლში, საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე საწარმოო დაბინძურებით გამორჩეულ რეგიონში საქართველოს დედაქალაქიდან 38 კმ-ს დაშორებით მდებარეობს.

ქ. თბილისის ელექტროენერგით მომარაგების მიზნით, 1963 წელს ექსპლუატაციაში შევიდა 150 მეგავატის სიმძლავრის თბილისის რაიონული თბოელექტროსადგური (თბილსრესი), ხოლო 1972 წელს ელექტროსადგურის სიმძლავრემ 1250 მგვტ-ს მიაღწია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ელექტროსადგურის სხვადასხვა ბლოკების პრივატიზაცია განხორციელდა. ამჟამად, მუშაობს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის მფლობელობაში არსებული და შპს „ჯი ფაუერის“ კუთვნილებაში არსებული რამოდენიმე გაზის ენერგობლოკი.

2016 წელს 2 ივნისს საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფთან აფილირებულმა საერთაშორისო კომპანიამ რუსული ინტერ რაოსგან 300 მეგავატის სიმძლავრის ორი ენერგობლოკი შეიძინა<sup>9</sup>. კომპანიის განცხადებით „დაეგმილია შექმნილი აქტივების გამოყენება, როგორც არსებული დადგმული სიმძლავრეების შენარჩუნებისთვის, ასევე სამომავლო სტრატეგიული პროექტების განხორციელებისთვის საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ჩინელ პარტნიორებთან ერთად“.

ამჟამად, გარდაბანში მიმდინარეობს სხვა ენერგობლოკების მშენებლობა. 2015 წელს სს „საპარტნიორო ფონდის“ (49%) და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (51%) მიერ აშენდა 220 მეგავატის სიმძლავრის თბოელექტროსადგური „გარდაბანი 1“. 2016 წლის 26 ოქტომბერს კი საფუძველი ჩაეყარა გარდაბანი 2-ს მშენებლობას, რომლის აქციათა მფლობელი სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაა“, ხოლო მშენებლობას ჩინური კომპანია China Tianchen Engineering Corporation (TCC) ახორციელებს.

საქართველოში გარდაბნის გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურები დაბინძურების ძირითად წყაროს წარმოადგენს ენერგოსექტორში, ხოლო გარდაბნის წილი ქვეყნის ატმოსფერულ დაბინძურებაში 9,6%-ია. ძირითადი ემისიებია ნახშირჟანგი (CO<sub>2</sub>), აზოტის ოქსიდები (NO<sub>x</sub>) და მტვერი<sup>10</sup>. რეგიონში განვითარებულია სხვა მცირე საწარმოებიც, ამასთან გარდაბანის ტერიტორიას კვეთავს რამდენიმე მაგისტრალური მილსადენი და ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენი.

<sup>8</sup> 2016 წლის 14 სექტემბერს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის ენერგოგაერთიანებაში შესვლას,

<sup>9</sup> <http://www.gig.ge/?newsid=17>

<sup>10</sup> [http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/eia/documents/EaP\\_GREEN/Georgia\\_30.09\\_Consultation\\_meeting\\_on\\_the\\_draft\\_SEA\\_report/SEA\\_Scoping\\_Report\\_GEO.pdf](http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/eia/documents/EaP_GREEN/Georgia_30.09_Consultation_meeting_on_the_draft_SEA_report/SEA_Scoping_Report_GEO.pdf)

ზოგადად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მხრივ, რეგიონების მიხედვით ქვემო ქართლი (28.1%) მეორე ადგილზეა ქვეყნის მასშტაბით. ეს განპირობებულია ქ. რუსთავში, გარდაბანში და კასპში არსებული ენერგეტიკული და სამშენებლო საწარმოების არსებობით.

2016 წლის აგვისტოში გარდაბნის რ-ნის სოფელ ბირლიკის მოსახლეობამ დაიწყო საპროტესტო აქციები. მათი თქმით, „სოფელი საწარმოო ზონასთან მდებარეობს, რის გამოც წლების მანძილზე ჰაერი ბინძურდება“, ხოლო მტვერი, რომელსაც საწარმოები გამოყოფენ, ჯანმრთელობასთან ერთად, მათ მოსავალსაც უზიანებს<sup>11</sup>.

## გარდაბნის ქვანახშირის თბოელექტროსადგურის ზემოქმედება გარემოზე

რეგიონში ახალი ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობა კიდევ უფრო სავალალოს გახდის სიტუაციას ჰაერის დაბინძურების მხრივ. კომპანია „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ არ აუღია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნებართვა, თუმცა კომპანიის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „თანამედროვე CFB წვის ტექნოლოგიით აღჭურვილი 300 მეგავატი სიმძლავრის ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგური ამჟამად რეკონსტრუქციის პროცესშია“<sup>12</sup>. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის კანონის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზა მოითხოვება 10 მეგავატზე მეტი თბოელექტროსადგურის შემთხვევაში<sup>13</sup>.

ტყიბულის ქვანახშირის მოხმარება ელექტროენერჯის წარმოების მიზნით, წარმოშობს ორი პრობლემა: ქვანახშირის წვის შედეგად წარმოშობილი ემისიები და ნარჩენების განთავსების პრობლემა. ორივე პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავად ტყიბულის ქვანახშირის ხარისხთან, რომელსაც ახასიათებს დაბალი კალორიულობა, მაღალი ნაცრიანობა და წვრილფრაქციულობა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მის გამოყენებას ენერგეტიკულ დანადგარებში. ამასთან, ტყიბულ-შაორის საბადოს ნახშირის თბოუნარიანობა 3000-5000 კკალ/კგ ფარგლებში მერყეობს. ნახშირის საშუალო ნაცრიანობა უდრის 27-30%-ს, ტენიანობა 1-10%-ს, აქროლადი ნივთიერებების გამოსავალი 30-50%-ს, გოგირდის შემცველობა - 1,5%-ს. ამ საბადოს ნახშირი თვითაალებადია და ძირითადად გაზიან ნახშირებს მიეკუთვნება<sup>14</sup>.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ქვანახშირის ნებისმიერი ტექნოლოგიით წვის შედეგად, გამოიყოფა საშიში დამაბინძურებელი ნივთიერებები, მათ შორის გოგირდის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, პოლიციკლური ნახშირწყალბადები, შეწონილი ნაწილაკები (PM2.5 და PM10) და ა.შ. ქვანახშირის თბოელექტროსადგურის ოპერირებისას შეწონილი ნაწილაკები წარმოიშვება ძალიან დიდი ოდენობებით და წყაროდან რამდენიმე ასეულ კილომეტრზე შეუძლიათ გავრცელება.

შეწონილ ნაწილაკებს PM2.5-ს გააჩნია ლიმფურ კვანძებში შეღწევის, ფილტვების ალვეოლებში გაჩერებისა და ლორწოვანი გარსის დანაგვიანების უნარი და იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორცაა ბრონქიტები, ემფიზემები, ფილტვის კიბო, ათეროსკლეროზი, გულის დაავადებები. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ქვანახშირის წვის შედეგად წარმოქმნილი ბოლი კლასიფიცირებულია კარცენოგენად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ<sup>15</sup>.

ამასთან, ქვანახშირი შეიცავს მცირე რაოდენობით ელემენტებს, როგორცაა ვერცხლისწყალი, კადმიუმი, ტყვია, დარიშხანი და რადიოზოტოპები. ქვანახშირის თბოელექტროსადგურები მიჩნეულია ვერცხლისწყლის ემისიების მეორე ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ მსოფლიოში. მერკური იწვევს შეუქცევად ცვლილებებს ბავშვის ტვინში და აფერხებს განვითარებას. საქართველოში ჰაერის დაბინძურების პრობლემა ზოგადადაც სავალალოა, განსაკუთრებით ქალაქებში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2016 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ატმოსფერული

<sup>11</sup> <http://1tv.ge/ge/news/view/134343.html>

<sup>12</sup> <http://www.gig.ge/?page=company>

<sup>13</sup> გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, 14/12/2007, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20206>

<sup>14</sup> <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000097/Disertacia.pdf>

<sup>15</sup> <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs292/en/>

ჰაერის დაბინძურებისა და სიკვდილონობის გლობალური ანგარიშის თანახმად<sup>16</sup>, სადაც ქალაქების ტერიტორიაზე PM 2,5 საშუალოდ არის 23  $\mu\text{g}/\text{m}^3$ , ხოლო ქვეყნის ტერიტორიაზე 19  $\mu\text{g}/\text{m}^3$  წლიურად, რაც 2-ჯერ აღემატება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციებს. იმავე ანგარიშის თანახმად, საქართველოში ყოველ 100,000 ადამიანზე დაახლოებით 90 სიკვდილის შემთხვევაა ნაანგარიშები ატმოსფერული ჰაერით გამოწვეული დაავადებების შედეგად.

ამასთან, ნაცრიანობის მაღალი ხარისხი მოითხოვს მაღალი ხარისხის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებას. ქვანახშირის წვის შედეგად მიღებული ნარჩენი შეიცავს ისეთ საშიშ ნივთიერებებს, როგორცაა ალუმინი, ქლორიდი, რკინა, მანგანუმი, სულფატები და ტოქსიკურ ნივთიერებებს: სელენიუმს, ტყვიას, კადმიუმს, ნიკელს, სპილენძს, ქრომს, ბორს, მოლიბდენს, თუთიასა და დარიშხანს. ხოლო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე განლაგება ხშირ შემთხვევაში იწვევს როგორც ჰაერის, ისე წყლის დაბინძურებას.

## პროექტის შესაბამისობა ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებებთან და ენერგო-პოლიტიკასთან

შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობა ყოველგვარი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევების გარეშე, პროექტის აუცილებლობის დასაბუთების გარეშე. აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტი არ შეესაბამება საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 24 ივნისს დამტკიცებულ ენერგოპოლიტიკის ძირითად მიმართულებებს<sup>17</sup>. „საქართველოს გადამცემი ქსელის ათწლიანი სტრატეგია 2015-2020“ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში „არსებობს ორგანული ენერგეტიკული რესურსების (გაზი, ნავთობი, ტორფი, ქვანახშირი) მარაგი, რომელიც უმნიშვნელოა და მისი გამოყენება ეკონომიკურად გაუმართლებელია“<sup>18</sup>. პროექტი აგრეთვე, 2016 წლის სექტემბერში ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ელექტროენერგეტიკული სტრატეგიის სამუშაო ვერსიაში<sup>19</sup> არ არის განხილული.

ამასთან, დაგეგმილ პროექტზე/საქმიანობაზე მსჯელობა შეუძლებელია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გლობალური თუ ეროვნული პროცესების განხილვის გარეშე.

2015 წელს საქართველო მართალია მიუერთდა პარიზის შეთანხმებას, მაგრამ მისი რატიფიკაცია 2017 წლამდე გადაიდო<sup>20</sup>. აღსანიშნავია, ისიც, რომ პოლიტიკურად საქართველოს მთავრობა ყოველთვის აფიქსირებს, რომ ის იქნება განახლებადი ენერჯის განვითარების ჰაბი. მაგ. 2010 წლის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა მე-16 კონფერენციის მაღალი დონის შეხვედრაზე გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „საქართველო უნდა გახდეს კარბონ- ნეიტრალური ქვეყანა“, ხოლო 2015 წელს პარიზში საქართველოს პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ „საქართველო კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლაში ნამდვილი ლიდერია, განსაკუთრებით, დიდი ოდენობით განახლებადი ენერჯის გამოყენებისა და ექსპორტის გათვალისწინებით“<sup>21</sup>.

## ჩინური ინვესტიცია სექტორში და მასთან დაკავშირებული საკითხები

<sup>16</sup> <http://apps.who.int/iris/bitstream/10665/250141/1/9789241511353-eng.pdf?ua=1>

<sup>17</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2894951>

<sup>18</sup> [http://www.gse.com.ge/new/wp-content/uploads/2015/05/TYNDP\\_GE\\_2015-2025\\_GEO.pdf](http://www.gse.com.ge/new/wp-content/uploads/2015/05/TYNDP_GE_2015-2025_GEO.pdf)

<sup>19</sup> <http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=600&lang=geo>

<sup>20</sup> <http://sputnik-georgia.com/society/20161006/233410827/saqarTvelo-klimatTan-dakavSirebuli-SeTanxmebis-ratificirebas-2017-wels-moaxdens.html>

<sup>21</sup> <http://news.ge/ge/news/story/161453-irakli-gharibashvili-am-shetankhmbis-mightsevas-udidesi-mnishvneloba-eqneba.-utankhmoeba-tsarumateblobis-tolfasi-iqneba>

საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, პროექტის ინვესტორია ჩინური დონგფანგ ელექტრიკ ინვესტის (Dongfang Electric Invests).

ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს პრემიერ მინისტრის ვიზიტის დროს ჩინეთში და შესაბამისად, სავარაუდოა, რომ „Dongfang Electric Invests“ რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ მწარმოებელს ჩინეთში, პროექტის განსახორციელებლად მიმართავს ჩინეთის რომელი სახელმწიფო ბანკს.

შესაბამისად, ჩინური კომპანიისგან საქართველოს მოსახლეობა ელოდება ჩინეთის მწვანე კრედიტების სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას<sup>22</sup>. ამასთან, 2015 წლის სექტემბერში ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძი პინმა აშშ-ს მთავრობასთან ერთობლივ განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ „... ჩინეთი გააგრძელებს მწვანე და დაბალ-ნახშირბადიან პოლიტიკებსა და რეგულაციებს და მკაცრად გააკონტროლებს საზოგადოებრივ დაფინანსებას იმ პროექტებში, რომლებიც მაღალი დაბინძურებითა და ნახშირბადის ემისიების რისკებით ხასიათდება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის გარეთ“.

გარდაბნის თბოელექტროსადგურის პროექტის დაფინანსების შემთხვევაში ჩინეთი ვერ შეასრულებს აღებულ ვალდებულებას მკაცრად გააკონტროლოს ქვეყნის გარეთ განხორციელებული მაღალი დაბინძურების და ნახშირბადის ემისიანი პროექტები.

უპირველეს ყოვლისა მწვანე კრედიტების სახელმძღვანელო მითითების თანახმად, დაუშვებელია ისეთი პროექტის განხორციელება, რომელსაც არ გააჩნია გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

## რეკომენდაციები საქართველოს მთავრობასა და პოტენციურ ინვესტორებს

საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს:

- საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი ყველა მოთხოვნის შესრულება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებამდე. დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი პროექტის ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ქვემო ქართლის ენერგოსექტორის კუმულაციური ზემოქმედება და პროექტის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი, რომელიც უნდა მოიცავდეს გარე ხარჯებსაც (ჰაერის დაბინძურება, ავადობის ხარჯები და სხვ).
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ფართოდ უნდა იყოს განხილული საზოგადოებასთან, როგორც გარდაბანში, ისე თბილისში.

პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა:

- დააფინანსონ პროექტები, რომელთა განვითარება ეწინააღმდეგება საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობას;
- დააფინანსონ პროექტები, რომელსაც არ გააჩნია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სრულყოფილი დოკუმენტი;

ამასთან აუცილებელია, პოტენციურმა ინვესტორებმა შეისწავლონ გარდაბანში ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობის ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ფართოდ განიხილონ ქვანახშირის ალტერნატივები, რათა უზრუნველყონ მწვანე ენერჯეტიკის განვითარება (ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯეტიკა).

<sup>22</sup> Issued by the China Banking Regulatory Commission on 24 February 2012, <http://www.cbrc.gov.cn/EngdocView.do?docID=3CE646AB629B46B9B533B1D8D9FF8C4A>